რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

ტელეფონი რედაქციისა № 363.

სადღესასწაულო მშვენიერი საჩუქრები

სადღესასწაულო მშვენიერი საჩუქრები

## „აღმოსავლეთის მაღაზია"

იოსებ მერკვილაძისა

(ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ზუბალოვის სახლებში, სემინარიის პირდაპირ)

იყიდება კავკასიისა და იაპონიის საუცხოვოდ დამზადებული ნაწარმოები სადღესასწაულოდ მისართმევი მშვენიერი საჩუქრები, ოქროთი მოვარაყებული ყუთები; ძვლისა, რქისა, ბრინჯაოსი და ვერცხლის ნივთები. მრავალი ნაბდები ქალისა და კაცისა, საბეჭურები (პერელენკები), ჩაბალახები, მათრახები, ქამარ-ხანჯლები, ხმლები, როგორც დიდებისა ისე ყმაწვილებისა. კახური მშვენიერი ლეჩაქის არშიები.

აბრეშუმეულობა ჩინეთისა და იაპონიისა; დამზადებული ხალათები, ჯუბები, იუპკები, თავსაფრები, მრავალი ცხვირსახოცები, ფანზა თეთრეულისათვის, ჩესუნჩა და სხვა მრავალი.

მაღაზიას აქვს სამაგალითო სამკერვალო სახელოსნო, სადაც მზადდება საუცხოვო ქართული და საზოგადოდ კავკასიური ტანისამოსი.

აქვე იყიდება მრავალი იმერული, მეგრული, დიგორული და ლეკური შალები, თივთიკები და სხვა და სხვა.

(6—3)

სადღესასწაულო მშვენიერი საჩუქრები

სადღესასწაულო მშვენიერი საჩუქრები

ტელეფონი № 349



ტელეფონი № 349

სავაჭრო სახლი

## ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

## საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგები.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°.

(100—4 წ.)

სათავადაზნაურო თეატრი.
ოთხშაბათს, 25 დეკემბერს, 1896 წ.

## კონცერტი

იტალიის ოპერის განთქმულ პრიმადონის

## ადელ ბორგისა

და ვენის პროფესორის პიანისტის

## ლუცაცისა

როიალი მირიმანიანის სამუსიკო მაღაზიიდან.
დასაწყისი სწორედ 9 საათზედ.

ბილეთები და პროგრამები შეიძლება შეიძინონ მირიმანიანის მუსიკალურ დეპოდან ყოველ-დღე სათავად-აზნაურო ქარვასლაში.

2—1)

## კბილის ექიმი

ვ. ი. პიპინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის" რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## ექიმი

უ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

ქ. ქუთაისი.
ქართული თეატრი
1896 წ. კვირას, 29 დეკემბერს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. ავალიშვილისა და ბ. ალექსი-მესხიშვილის, ყიფიანის და გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

## ჰამლეტ

ტრაგედია 5 მოქმედ. შექსპირისა, თარგმანი ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩხეიძისა, ივანიძისა და სხვ. ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, გიორგაძე, აბულაძე, ნემო, ტყეშელაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. ბ. ბურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

ა. ბ. ბურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შ არდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

## ჩვეულებრივი კრება

მოხდება 1897 წლის მაისის 28 დღესა, რასაც საყოველთაოდ ვაუწყებ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას.

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლი თავადი მუხრან-ბატონი.

(3—1)

იაფად, სამუდამოდ და პირიანად ვსდგამ სახლებში

## ელექტრონის ზარებს

მსურველთ საახალწლოდ იაფად გავუმართავ გაფუჭებულს და დამდგარს ზარებს.

შეიძლება მომმართონ გ. ჩარკვიანის სტამბაში, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი.

მ. იანქოშვილი

(10—5)

ქართული თეატრი

1896 წ. კვირას, 22 დეკემბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

**იაკობელები**

ანუ

სამეფო ცახცისათვის

დრ. 5 მოქმედ. თარგ. პ. ყიფიანისა და ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარეთლისა, კუნდელი, ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

**სამკურნალო და ამბულატორია**

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ბერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი

ქალი მ. თ. კობანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

(წ.)

Вышла изъ печати и продается новая книга:

**ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ**

Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).

Содержаніе: Отъ автора.—„Доглаурия“.—Быль—Какъ „въ старину живали дѣды“.— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.— Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили. — Амцуха-леки.— Смерть.— Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.— Спасенная святыня.

**ЦѢНА 1 РУБЛЬ.**

Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа“, въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ“, а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.

Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы“.

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога“.

**ЦѢНА 30 КОП.**

## კანონი და მთავრობის განკარგულება.

სახელმწიფო ქონებათა დაწესებულებაში. ტყის მოშენების რევიზორს ბაქრაძეს ებოძა სტატსკი სოვეტნიკობა, ლესნიხს აბაზაძეს კოლეჟსკი ასესორობა, მიწათ მზომელს ზედგინიძეს კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში. ანანურის საფოსტო-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად დაინიშნა ალექსი რცხილაძე.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობაში. ტიტულიარნი სოვეტნიკი გიორგი ყიფიანი დაინიშნა ამავე მმართველობის საქმის მწარმოებლად.

სასამართლო დაწესებულებაში. ალექსანდრე გოცირიძე და ნიკოლოზ დალიაშვილი დაინიშნენ კანცელარიის მოხელედ ტფილ. საოლქო სასამართლოში.

სახაზინო პალატის დაწესებულებაში. თეოფანე გეორგობიანი დაინიშნა კანცელარიის მოხელედ ქუთაისის სამაზრო ხაზინაში. სოფ. სადმელის მასწავლებელი მეგენი კერესელიძე კანცელარიის მოხელედ სახაზინო პალატაში. სილვესტრ ჩირაკაძე გადაყვანილ იქმნა ქუთაისის საგუბერნიო მმართველობიდან ქუთაისისავე სამაზრო ხაზინაში.

# ახალი ამბავი

*** ექიმი ი. ს. ელიაშვილი, უმცროსი ორდინატორი ტფილისის მიხეილის სამკურნალოსი გადაყვანილ იქმნა სოფლის ექიმად ზაქათალის ოლქში, სოფელ კახში.

*** მისალოცი დეპეშები. რადგანაც ახალ წელიწადს ტელეგრაფის კანტორებში მრავალი მისალოცი დეპეშა მიაქვთ გასაგზავნად, ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა მოახდინა განკარგულება, რომ მისალოცი დეპეშები მიიღონ და გადასცენ ყოველ-დღე 26 დეკემბრიდგან, ხოლო დეპეშებს დაურიგებენ 1 იანვარს.

ასეთს დეპეშაზედ უნდა ეწეროს: „მისალოცი“. ამ ერთს სიტყვას ტელეგრაფის კანტორებში არ თაწგარიშებენ.

*** შემწეობა გაზეთ «მეურნეს». კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ შეიწყნარა თხოვნა გაზეთ „მეურნეს“ რედაქტორისა და გადასწყვიტა მიეცეს მას სესხად 200 მანათი ექვსის თვის ვადით, ხოლო თუ რედაქტორმა ვადაზედ ამ ფულის გადახდა ვერ შეიძლო, ეს ვალი სრულებით ეპატიოს. შემდეგ საზოგადოებამ გადასწყვიტა: თუ ფოსტის უწყება დასთანხმდება ამაზე, გაუგზავნოს მუქთად ხელისმომწერლებს გაზეთი „მეურნე“ და ამის მაგიერ „მეურნეს“ რედაქტორიც მუქთად დაბეჭდავს გაზეთში საზოგადოების პროტოკოლებს და მოხსენებებს.

*** შემწეობის აღმოჩენა. წარსულ თვეს გარდაიცვალა კონტროლერი ქალაქის მილის წყალისა ა. ვ. ეგოროვი, რომელსაც დაჰრჩა უპატრონოდ ცოლი და ხუთი ობოლი, რომელთა შორის უფროსი 14 წლისა და უმცროსი $1^1/_2$ წლისა. განსვენებულ ეგოროვის ქვრივმა მიართვა ქალაქის მოურავის მოადგილეს ქაღალდი, რომელშიაც სთხოვს, რომ საბჭომ რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს მას ობლებითურთ. გამგეობამ დაადგინა: რადგანაც ეგოროვის სახლობა უმოწყალოდ დარჩა, ამიტომ მიეცეს ნახევარ წლის ჯამაგირი 300 მანათი, მით უმეტეს რომ ეგოროვი უკეთეს მოსამსახურეთაგანი იყოვო. ეს თხოვნა, მოკლე ხანში წარედგინება საბჭოს.

## ვაჭრების საყურადღებოდ.

### დემიდოვები

და

### მაღნეულობის წარმოება რუსეთში.

(შემდეგი *)

პროკოპი დემიდოვის ახირებულებას საზღარი არა ჰქონდა.

იმპერატრიცა ეკატერინეს დროს რუსეთს ოსმალეთთან ომი ჰქონდა. სარდალი რუმიანცევი ომის ველიდგან ფულებს თხოულობდა და ხაზინაში კი ალარასფერი მოიპოვებოდა. ეკატერინამ მიუგზავნა თავისი საყვარელი კაცი ორლოვი პროკოპის და 4 მილიონი ოქრო დაესესხა.

— დედოფალს არ მივსცემ—მიუგო დემიდოვმა: ჩემი ადათია, იმას არ მივასესხო, ვისაც ჩემი „გაროზგვა“ შეუძლიან!...თუ გინდა შენ მოგცემ... მაგრამ ამ პირობით: თუ დროზედ არ დამიბრუნე, მე შემეძლება სამი სილა გაგაკრა შენი მეგობრების თანადასწრებით... შევსცვალოთ საათები და სწორედ დანიშნულ ვადაზედ უნდა დამიბრუნო...

ორლოვი დასთანხმდა ამ პირობაზედ დედოფლის რჩევის შემდეგ.. ფული ვადაზედ ადრე წაუღო დემიდოვს, მაგრამ ამან არ მიიღო, სანამ დანიშნული დრო და საათი არ დადგა.

მოსკოვში მობრძანდა ძალიან დიდი პირი, დემიდოვმა ნადიმობა გამართა და მოიწვია ეს დიდი კაცი. სადილზედ დასხდომის დროს დემიდოვს აცნობეს, რომ ის დიდი კაცი ველარ მოვა, რადგან ღუბერნატორმა მიიწვიაო. ეს იწყინა პროკოფიმ და ბრძანა: დაიჭირეთ დიდი ღორი, შემოათრიეთ სასადილო დარბაზში. შეუსრულეს ბრძანება... დემიდოვმა ღორი დასვა საპატიო ალაგას და მთელი სადილის განმავლობაში სხვა-და-სხვა საჭმელებს თავაზობდა და ეუბნებოდა.. მიირთვით, თქვენო ბრწყინვალებავ, ნუ მეტყვით უარს, ნუ გამკიცხავთ, თავის დღეში არ დავივიწყებ თქვენს პატივისცემას!...

ყველა იმათგან ჩადენილი ახირებულობა რომ მოვყვეთ, ძალიან შორს წაგვიყვანს... აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ეს ახირებული კაცი პირველი იყო დემიდოვის გვარში, რომელმაც დაიწყო ფულების ხარჯვა საქველ-მოქმედო მიზნით. რამდენიმე მილიონი შესწირა განათლების და სხვა-და-სხვა კეთილ საქმეებს...

ის მოგზაურობდა... რამდენჯერმე იყო ევროპაში და იქაც ყველას აკვირვებდა თავისი ახირებულობით და ბევრი ფულის ხარჯვით.

დიდ-კაცობა, როგორც მოვიხსენიეთ, ძალიან ეჯავრებოდა და როდესაც ერთმა მისმა ქალმა გამოაცხადა სურვილი, უსათუოდ აზნაურს უნდა გავყვე ცოლადო, პროკოპიმ ასეთი განცხადება გამოაკრა თავის სახლის კარებზედ: «ამ სახლში მყავს ქალი, რომლის გათხოვება მსურს აზნაურზედ... რომელი აზნაურიც პირველად წაიკითხავს ამ განცხადებას, მობრძანდეს, ჩემი ქალი ცოლად მიირთვას»! შემთხვევით ვილაც ჩინოვნიკმა სტანისლავსკიმ წაიკითხა განცხადება და პროკოპისთან მივიდა.. ამანაც იმ დღესვე ჯვარი გადაიწერა; მზითევი ბლომად მისცა და სახლიდამ გამოაგდო ქალიც და ახალი შეძენილი სიძეც.

თავისი საქმე, მადნეულობის მრეწველობა, მაინც და მაინც არაფრად უყვარდა... თვითონ ყოველთვის სატახტო ქალაქებში სცხოვრობდა და მის მადნების საქმეს ერთი სიძე და ნოქრები განაგებდნენ. ხშირად სწერდა კი წერილებს თავის ხელ-ქვეითს კაცებს... „მუშებს სიბრალულით მოექეცით, ცრემლებს ნუ აფრქვევინებთ, უფალი ამისთვის არ შეგვიწყნარებს“!!.

თუმცა ხანდახან ძალიან ახირებულ სისულელეს ჩაიდენდა, მაგრამ ის არ იყო უჭკუო კაცი... უყვარდა სწავლა, კითხვა და ზოგჯერ ოხუნჯი წიგნის დაწერა..

ზოგიერთი იმისაგან დაწერილი წიგნი ისეთ ოხუნჯურად და პირუთვნელად იყო შედგენილი, რომ დედოფლის ბრძანებით, მოაგროვებდნენ ხოლმე და ცეცხლში დასწვამდნენ...

ასეთი უცნაური იყო ეს დემიდოვი: იმისს ხასიათში არეულ იყო სხვა-და-სხვა თვისებანი. ის ხან კეთილი იყო, ხან ბოროტი, ხან ძუნწი, ხან მეტად ხელ-გაშლილი. ხან შებრალება იცოდა, ხან შეუბრალებელი იყო, განსაკუთრებით თუ ვისმე არისტოკრატთან საქმე ჰქონდა, ის შეუბრალებელი იყო: არაფერს დაზოგავდა, ოღონდ იმათთვის კარგათ დაეცინა და გაეჯავრებინა.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 62

*** **კიდევ „ნავთის ჭალა“.** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქალაქის გამგეობისთვის წარუდგენია პირობები ნავთის ჭალის იჯარით აღების შესახებ ახალს ამხანაგობას, რომელთა შორის მოთავეებათ ითვლებიან ბ-ნნი თეიმურაზოვი და მირზოევი. ესენი აძლევენ ქალაქს $^{1}/_{40}$ მეტს ნაწილს ნავთისას, რომელსაც ამოიღებენ ამ საქმიდამ, ვიდრე აძლევდა ბ-ნი ხატისოვი, ე. ი. $^{9}/_{40}$ ნაწილს. გამგეობამ გადასწყვიტა, ცოტა ხანს კიდევ დაიცადოს პირობის შეკვრა, რომ იქნება ამ ხანში კიდევ გამოჩნდნენ მსურველნი იჯარისა. ჩვენის აზრით, გამგეობა ურიგოდ არ მოიქცეოდა, რომ გამოეცხადებინა კონკურსი და მაშინ უფრო მეტი მსურველები აღმოჩნდებოდნენ და შესაძლებელი იქმნებოდა უფრო სარგებლიანად გაეცა ეს საქმე, რომელიც ჰპირდება ქალაქს დიდ შემოსავალს, იქნება 100.000 მანათამდე წელიწადში.

*** **ქალაქის მამულების დამფასებელი.** ამ დღეებში ქალაქის მამულების დამფასებელმა გ. ს. აბესალომოვმა გამოუცხადა ქალაქის თავის მოადგილეს, რომ მას აღარ შეუძლიან განაგრძოს სამსახური 1 იანვრიდამ მომავალის წლისა, და ამიტომ სთხოვს, რომ იგი გაანთავისუფლონ დამფასებლის მოვალეობისაგან. მოისმინა რა ეს განცხადება, ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მოიწვიოს დამფასებლის ადგილზედ ბ-ნი მერაბოვი, რომელიც ამ სამის წლის წინად საბჭოს მიერ არჩეულ იყო კანდიდატად ამ მოვალეობისა.

*** **ქუთაისის საბჭო.** საბჭოს კრებაზედ ერთმა ხმოსანმა განაცხადა, რომ ქალაქის გამგეობა სრულებით არ ახდენს დეზინფექციას იმ სახლებში, სადაც გადამდებ სენით ავადმყოფნი არიან. თურმე სამკურნალო განყოფილებას მიუწერია ქალაქის გამგეობისთვის, როდესაც ვინმე გადამდების სენით ავად გახდება, სამკურნალო განყოფილებას და პოლიციას შეატყობინეთო, მაგრამ ეს აქამდე არც ერთს ექიმს არა სცოდნია. კარგი წესები ყოფილა ქუთაისის გამგეობაში!

ერთი ხიფათიც. გამგეობის აგენტებს საკვიტანციო წიგნები დაჰკარგვიათ. („ნოვ. ობოზრ.«).

*** **ბეთანიის ღვთის-მშობლის ეკკლესია და მისი განახლება.** თავ. დავით ზაქარიას ძე ბარათაშვილს საქართველოს ექსარხოსისათვის თხოვნა მიურთმევია: «ტფილისის მახლობლად 20 ვერსის მანძილზედ, ჩემს მამულში ძველთა ძველი, მე-XI საუკუნეში აგებული, ეკკლესია არსებობს, რომელსაც სახელად ეწოდება „ბეთანიის ღვთის-მშობელი“. ეს ეკკლესია ამ ჟამად სიძველისა გამო ინგრევაო. ხსენებული ეკკლესია შესანიშნავია ისტორიის მხრივ, როგორც ერთი უძველესი ეკკლესია, არხიტექტურის ძეგლთაგანიო. ამის გამო, გთხოვთ თქვენს მეუფებას, გადმოიღოთ კურთხევა ჩემზედა, რათა შევიძლო ჩემის ხარჯით განვაახლო ზემო აღნიშნული ეკკლესიაო. ყოვლად სამღვდელოს ეს თხოვნა გადუცია ადგილობრივ ბლაღოჩინისათვის, რომელსაც დაევალა, გამოიძიოს ეს საქმე და მოახსენოს მას.

*** **საინტერესო წერილი და სტატისტიკა ქართველთა სწავლა-განათლებაზე.** ჩვენს ცნობილს პედაგოგს ბ-ნ იაკობ სვიმონის ძეს გოგებაშვილს დაუწერია რუსულს ენაზე და უკვე წაუკითხია ნაცნობებთა წრეში ვრცელი წერილი, დამყარებული სტატისტიკურ ცნობებზედ, მის შესახებ, თუ რავდენად არიან ამ ჟამად ქართველები უკან ჩამორჩომილნი განათლებაში და რა ღონისძიებანი უნდა იქმნან მიღებულნი, რათა აღორძინდეს საქართველოში სწავლა ქართველ ვაჟთა და ქალთა შორის. წერილი დაიბეჭდება ამ მოკლე ხანში როგორც რუსულს, ისე ქართულს ენაზედ.

*** რადგანაც მაჰმადიანთა შორის ბათომის ოლქში ჯარის კაცებს არ იყვანენ, ამიტომ მათ მთავრობამ შეაწერა სამხედრო ბეგარა. ეს გადასახადი უკვე შეუკრებიათ და მალე წარადგენენ ხაზინაში. მიწის ბეგარიდამ შემოსულა 30,000 მანათი, მთელს ოლქში, ხოლო სამხედრო ბეგარიდგან, ნაცვლად ჯარის კაცად გასვლისა—7,000 მანათი.

*** **კავკასიის სამეურნეო საზოგადოება და მისი განყოფილება ქუთაისში.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებაში წარდგენილ იყო მოხსენება ბ-ნ ანჯაფარიძესი შესახებ იმისა, რომ ქუთაისში გამართული იქმნას სახელოსნო აბრეშუმის ქსოვისა. ამ საქმისათვის ანჯაფარიძე სთხოვდა მთავრობას ყოველ წლივ 3,000 მანათს. ქუთაისის განყოფილებამ სამეურნეო საზოგადოებისამ მოიწონა ბ-ნ ანჯაფარიძ-ს პროექტი და გაუგზავნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ტფილისში. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამ საქმეში დიდს მონაწილეობას იღებდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოება; ამ წლის გაზაფხულზედ გაგზავნა ქუთაისში თავისი წევრი ა. ს. ფირალოვი და დაავალა მას გამოკვლევა აბრეშუმის საქმისა გუბერნიაში. ფირალოვმა აღუთქვა ქუთაისის განყოფილებას, ჩემს მოხსენებას გამოგიგზავნითო. ქუთაისის განყოფილება დიდ ხანს მოელოდა ბ-ნ ფირალოვის მოხსენებას... და მხოლოდ ეხლა შეიტყო გაზეთებიდგან, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ 22 ნოემბრის კრებაზედ უარ-ჰყო ბ-ნ ანჯაფარიძის პროექტი.

თვით საზოგადოებამ-კი საჭიროდ არ სცნა თავისი გარდაწყვეტილება შეეტყობინებინა თავის განყოფილებისათვის ქუთაისში და არც ის მიზეზი, რად არ შეიწყნარა ხსენებული პროექტი, არც ბ ნ ფირალოვის მოხსენება მისვლია ქუთაისის განყოფილებას. საჭიროა გავიხსენიოთ, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება ყოველ-წლივ სუბსიდიას აძლევს ქუთაისის განყოფილებას და მაშასადამე სასარგებლოდ მიაჩნია მისი არსებობა და მოქმედება. ამიტომ ასეთი ქცევა სამეურნეო საზოგადოებისა, სხვა არა იყოს რა, მეტად საკვირველია.

ქუთაისის განყოფილებამ ამ დღეებში გადასწყვიტა ბ-ნ ანჯაფარიძის პროექტი გაგზავნოს პირდაპირ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროშიო. („ნოვ. ობოზ.“)

*** **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული წიგნაკი „წამება მიქაელ-გაბრონისა და ას-ოცდაცამეტ მასთან მეციხოვანთა მესხთა“, ლექსად თქმული ახალციხის ქართველთ კათოლიკეთა მოძღვრის ივანე გვარამაძის მიერ (ვინმე მესხი). წიგნაკი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 72 გვერდს და ღირს ორი შაური. ამ წიგნში ქართული სათაური რუსულადაც არის დაბეჭდილი, რადგან მთავრობის განკარგულებით დღეიდან ყველა ქართულ წიგნებზე უთუოდ სათაური რუსულადაც უნდა იყოს მოხსენებული.

*** **გამომცემელთა კინკლაობა.** იარმუკაზე ცნობილ გამომცემელთ სერ. მღივანოვს და ლიზა ახპატელოვისას ამ ჟამად პოლემიკა გაუმართავთ. საქმე ის არის, რომ მღივანოვი უსაყვედურებს ახპატელოვისას: იგი საშიყო ლექსებს ჰბეჭდავს, რომელნიც მავნებელ არიან ხალხისათვისო; კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვაი რომ არც თვით მღივანოვია ამ საქმეში წმინდა კაცი და მისი გამოცემული „სიზმრის ახსნანი“ და სხვა არა ნაკლებ მავნე არიან ხალხისათვის. ძრიელ კარგი იქნებოდა, რომ ორნივე, სერ. მღივანოვი და ლიზა ახპატელოვისა, სრულებით მიანებებდნენ თავს ქართულ მწერლობაში „მოღვაწეობას“ და აღარ დგებოდნენ მდაბიო ხალხის ცოდოში.

*** **გადამეტებული ერთგულება.** 5 დეკემბერს, სოფ. ჰალას, აზ. ბიკტორ კანდელაკთან იყო მიწვეული ერთი სოფლის ექიმთაგანი ალექსი გირკელიძე, რომელიც უმზადებდა კანდელაკს ბალახებისაგან შეზავებულს წამალს: წამლისთვის ხანგრძლივი ხარშვა ყოფილა საჭირო; ექიმმა წამლის ხარშვა დაიწყო 5 დეკემბერს, საღამოთი, და ღამის თერთმეტ საათამდინ ხარშავდა. უეცრად [illegible] მეტად ერთგული მოხელე აქციზისა, რამოდენიმე შეიარაღებულ მხლებლებით დაეცნენ თავს კანდელაკს, სწორედ იმ დროს, როდესაც ექიმი კოვზით ქვაბიდგან ნოშოს იღებდა და ნაწურს ჰურჭელში ასხავდა. ამ პატიოსან მოხელეთ ჰგონებიათ: ეს არის ქვაბიდგან არაყს ჭურჭელში ასხამენო და ხმა მაღლა დაუყვირეს: „არ დაიძრათ ადგილიდან, თორემ ეს არის ამოგწყვიტეთო“ და შემართული თოფები და დამბაჩები დაუმიზნეს. საწყალი კანდელაკი როგორ წარმოიდგენდა, თუ ოჯახის საჭიროებისათვის ქვაბის ცეცხლზედ შეკიდება აღკრძალულ იყო და აქციზები თავს დაესხმოდნენ; მან გადასწყვიტა: ეს უსათუოდ ავაზაკები არიანო და ამიტომ ასტყდა ოჯახში ერთი უბედურება და ალიაქოთი. ბავშვებმა წივილ-კივილი მორთეს. მეზობლებს გამოეღვიძათ, ვინ თავ-შიშველა, ვინ ფეხ-შიშველა, ვინ პერანგის ამარა მორბიან გასაგებათ, თუ რა უბედურება მოხდა კანდელაკის ოჯახში. გაიგეს თუ არა აქციზის მოხელენი არიანო, მაშინვე გაუღეს კარები, შევიდნენ სახლში ჩვენი მიუპატიჟებელი სტუმრები და არყის მაგიერ ნახეს ერთი დიდი ქვაბი ბალახებით სავსე. რაღა ექმნათ, დაბრუნდნენ უკან უპურ-მარილოთ. საწყალმა კანდელაკმა არამც თუ ისარგებლა იმ ღამეს დამზადებულ წამლებით, არამედ ორი იმდენი ავადმყოფობა შეიძინა შიშით. თითონ კიდევ არაფერი, მაგრამ მისი ბავშვები იმ დღეს შემდეგ შიშით ავად არიან.

*** **ს. კოდა** (ტფილ. მაზრა), 15 დეკემბერს, ღამე, სოსიკა პოჩიკაშვილის ბაკს დაეცა სამი თათარი. ავაზაკთ წინათვე თვალი მოეკრათ, რომ სოსიკა პოჩიკაშვილის ეზოში ყოფილიყო ბევრი საქონელი, მაგრამ ამ ჟამად საქონელი უკვე გარეკილ იყო ტფილისისაკენ. ავაზაკებს დაუხვდა ყარაული ფიდო კუმსიევი და დაუწყო თოფის სროლა. ორი თათარი გაიქცა და ერთი, ტყვია მოხვედრილი, იქვე დაეცა და მოკვდა. ეს უკანასკნელი იცნო სოფელ კიზილ აჯლოს მამასახლისმა თავიანთ სოფლელად, გვარად ისა ველი-ოღლად. დანარჩენები არ არიან აღმოჩენილნი. ეს საქმე შეატყობინეს ტფილისის ოლქის სასამართლოს და ტფილისის მაზრის პირველ ნაწილის გამომძიებელს.

*** «კვალის» 51 №-ში ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი წავიკითხეთ: შვიდს ნოემბერს, სოფელ ბაჯითში (შორაპნის მაზრა) დაუსაფლავებიათ ორის წლის ავათმყოფობის შემდეგ ერთი სამაგალითო სახალხო მასწავლებელი არქიფო ტყემალაძე. სახალ-

ხო მასწავლებლობა საზოგადოთ, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც, დიდ თანამდებობათ არ ითვლება და არც სახალხო მასწავლებელს უყურებენ, როგორც დიდის თანამდებობის კაცს, მაგრამ, ვინც კი გონიერის თვალით დაჰკვირვებია სოფლის მასწავლებლის მოვალეობას, მიზანს და დანიშნულებას, უეჭველად შენიშნავდა, რომ ერთის მხრით, ხალხის მომავალი ბედნიერება და ერის საუკეთესო მომავალი, სახალხო მასწავლებელზეა დამოკიდებული. სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა დღეს ვერაფერ ნუგეშს ვერ იძლევა საზოგადოთ, ამიტომ, რადგანაც სოფლის მასწავლებელი ვერ ხედავს ვერაფერ ნუგეშს ვერც აწმყოში და ვერც მომავალში, უმეტესი ნაწილი სარგებლობს პირველისავე შემთხვევით, სტოვებს სოფლის მასწავლებლობას და შედის ისეთს სამსახურში, რომლიდგანაც გამოელის უფრო მეტს კერძო სარგებლობას. ამნაირად ბევრი სახალხო მასწავლებელი, ცხოვრების სხვა-და-სხვა უკუღმართობის წყალობით, ხშირად აითვალისწუნებს თავისს თანამდებობას, სახალხო მასწავლებლობას, რომელსაც მოსწავლის სკამიდგან ერთს დროს ტკბილის იმედებით და სასიამოვნო ოცნებით შესცქეროდა. ზოგი მასწავლებელი, ისიც ძალიან მცირე რიცხვი, მისდევს თავიდგანვე აღნიშნულს კვალს, მიზანს. მხოლოდ ძალიან მცირე რიცხვი სახალხო მასწავლებლისა არ ღალატობს თავისს იდეალს, შეხედულობას სასოფლო სკოლების მოქმედებაზე და რჩება ერთგული ყმაწვილობის დროს შედგენილ შეხედულობისა. ამისთანა მასწავლებლები ყოველთვის გრძნობენ განსაკუთრებულს სიყვარულს თავის თანამდებობის მიმართ და ახალ-თაობის კანონიერად სწავლა-აღზრდისადმი, რომელიც მიაჩნიათ აგრეთვე ცხოვრების უმაღლეს მიზნათ და ამაში ჰპოვებენ მხოლოდ ნუგეშს, და ამიტომ ამისთანა სახალხო მასწავლებელი ჭეშმარიტად ბედნიერია; მას პასუხი ყველა კითხვებზე, რომელიც კი შეეხება მისს თანამდებობას, დარწმუნებით და დამტკიცებით გადაწყვეტილი აქვს. ბედნიერ სახალხო მასწავლებელს თავდაპირველად ამხნევებს შეგნება და წარმოდგენილება თავის შრომის სარგებლობაზე და ამტკიცებს მისს განსაზღვრულს შეხედულობას სკოლის დანიშნულებაზე. ამ უკანასკნელს მცირე დასს ეკუთვნოდა განსვენებული არქიფო ტყემალაძე. ერთმა რუსების ცნობილმა პედაგოგმა სთქვა: «ძნელია კაცისათვის პროფესორად მომზადება, უფრო ძნელია გიმნაზიის მასწავლებლობა, მაგრამ ყველაზე უფრო ძნელია სახალხო მასწავლებლად მომზადება, მისთვის რომ აქ ცხოვრების და სკოლის წესიერების დაცვა და სწავლება, ცნობების გადაცემა და კარგი ყოფა-ქცევის შექმნა ერთმანეთს უნდა დაუახლოვდნენ, ერთმანეთს უნდა გაუჯდნენ». განსვენებული არქიფო ტყემალაძე თავიდამვე სასულიერო სასწავლებელში სწავლის დასრულებიდამვე გრძნობდა სოფლის მასწავლებლობის ასპარეზზედ მოწოდებას. მაგრამ მალე იგრძნო თავისი მოუმზადებლობა და ამიტომ რამდენისამე წლის მასწავლებლობის შემდეგ შევიდა ახლად გახსნილს ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც კურსის დასრულების შემდეგ რამდენსამე ხანს კიდევ მასწავლებლობდა, მაგრამ აქაც გრძნობდა, რომ კიდევ ისე არ იყო სახალხო მასწავლებლად მომზადებული, რომ ყოველ გაჭირებულ მდგომარეობაში შველა, დახმარება და რჩევა მიეცა ხალხისათვის. აი ამიტომ წავიდა განსვენებული ნიკიტას სამეურნეო სასწავლებელში და იქ სწავლის დასრულების შემდეგ განაგებდა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლას, და აი დღეს ეს პატიოსანი, შესაფერისის ცოდნით აღჭურვილი, მტკიცე ხასიათის მქონებელი, ყოვლად უწყინარი მოღვაწე უდროვოდ გამოესალმა წუთი-სოფელს. მისი უდროვოდ დაკარგვა დიდათ შეაწუხებდა მისს ნაცნობებს, მეგობრებს და მოწაფეებს. ამ ორი წლის წინად ვნახე განსვენებული: ტფილისიდგან ავადმყოფი მიდიოდა თავისს სოფელში, საიდგანაც შემდეგ არ დაბრუნებულა. განსვენებულმა შემომჩივლა: დამიგდო ამ წყეულმა ავადმყოფობამო. შევატყე, რომ მისი გამობრუნება ეჭვს გარეშე იყო. თვითონაც ამბობდა: სკოლას გამოვეთხოვე, ამის შემდეგ იქ წასვლას და საქმის გაგრძელებას ვერ ვეღირსებიო. მაგრამ ყველაზე უფრო, ეტყობოდა, განსვენებული იმას სწუხდა, რომ ბოლო ელებოდა იმისთანა დროს, როდესაც ასე თუ ისე უფრო რიგიანად იყო მომზადებული ხალხის სამსახურისათვის და ეხლა კი ვერავის ვერაფერს ვარგებო. ეს ულონებდა გულს საცოდავს და ამიტომ უბედურად სთვლიდა თავის თავს. მაგრამ იმისთანა მტკიცე ხასიათის მქონებელ მასწავლებლის მოქმედება, როგორიც იყო განსვენებული, რაც უნდა მცირე ნამოქმედარი იყოს, უნაყოფოდ არ დარჩება, თესლი მისი სწავლისა მისს მოწაფეებში აღორძინდება და გამოიტანს სასურველს ნაყოფს. ამიტომ მისი ხსოვნაც მუდამ დარჩება მისს ნაცნობებში და მეგობრებში, რომლებიც ყოველთვის დიდის სიყვარულით და პატივისცემით მოიგონებენ უეჭველია, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, სამაგალითო სახალხო მასწავლებელო, ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო, არქიფო!

ლუარსაბ.

*** **ლი-ხუნგ-ჩანგმა**, ევროპაში მოგზაურობის შემდეგ რომ ჩინეთში დაბრუნდა, თან წაიყვანა გამოჩენილი მოცეკვავი და მოთამაშე ევროპიელი ქალი ლოი ფილლერი. ამ ქალს იმედი აქვს, რომ მალე გააბამს ეშხის ბადეში ჩინეთის დიდ-კაცობას, მანდარინებს, და ევროპაში ხელცარიელი არ დაბრუნდა.

*** **კორსეტი აღარ იყოს.** პორტუგალიაში აღარ სწყალობენ კორსეტს. თვით დედოფალს პორტუგალიისას ამელიას უარი უთქვამს კორსეტზედ და სასტიკად აღუკრძალავს სასახლის ქალთათვის კორსეტის ტარება. მიზეზი ასეთის განკარგულებისა ყოფილა შემდეგი გარემოება: მას შემდეგ, რაკი აღმოაჩინეს რენტჰენის სხივები, დედოფალმა გადაალებინა სასახლის ყველა ქალების სურათები და აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველას სხეული, ძვალ-რბილი, დამახინჯებული ყოფილა კორსეტის წყალობით. დედოფალს ელდა ეცა და მაშინვე აღკრძალა სამუდამოდ კორსეტი. ასე რომ ეხლა მშვენიერნი ასულნი პორტუგალიისანი სრულებით აღარ ხმარობენ ამ მოსართავს ქალის ტუალეტისას.

*** **თამბაქოს მწეველთა საყურადღებოდ.** თამბაქოულობაში ყველაზედ მავნებელი ყოფილა ციგარა. უნდა მოსწიოთ დღეში არა უმეტეს ორის ჰავანის ციგარისა და ისიც სადილის შემდეგ. უნდა მიაქციოთ ყურადღება აგრეთვე ციგარის ფერს. მუქი და მოშავო ციგარა უფრო მავნებელია, ვიდრე მოყვითანო. არასოდეს არ უნდა მოსწიოთ ციგარა ბოლომდის და არც ხელ-ახლა მოსწიოთ დარჩომილი ნამწვავი. არამცა და არამც არ უნდა მოჰკვნიტოთ პირით ციგარას წვერი, რადგან ამ დროს ნერწყვს ერთვის ბევრი შხამი—ნიკოტინი. ციგარა, როგორც პაპიროსი, უნდა მოსწიოთ ხოლმე მუშტუკით, ხოლო ეს უკანასკნელი უნდა შეინახოთ ძალიან სუფთად. მეტადრე მავნებელია წევა პაპიროსებისა უმუშტუკოთ, რადგან ბოლი პირდაპირ ეცემა პირის კანს და აფუჭებს. ნაფაზით მოწევა მავნებელია.

*** **ჯაშუშის დაპატიმრება.** გაზეთები იუწყებიან, რომ აფიცერის გილიოს საქმე, რომელიც ამ დღეებში დააპატიმრეს და რომელსაც ჯაშუშობა ბრალდება, დრეიფუსის საქმეზედ უფრო საყურადღებო არისო. დამტკიცდა, რომ გილიოს მიუყიდნია გერმანეთის მთავრობისთვის სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდები შესახებ საფრანგეთის ჯარისა. უმთავრესი მიზეზი გილიოს დაპატიმრებისა ის არის, რომ მთავრობასა სურს შეიტყოს, როგორ არის მოწყობილი საქმე ჯაშუშობისა საზღვარზედ მდებარე საფრანგეთის ქალაქებში.

*** **ქალთა კლუბი ბერლინში.** „Daily News“-ი დეპეშით იუწყება, რომ დამდეგის წლიდან ბერლინში გაიხსნება პირველი საქალებო კლუბი მინა კაუერის თავმჯდომარეობით. კლუბის წევრად მიიღებიან ყველა ქალები, რომელნიც კი ან მწერლობაში, ან ხელოვნებაში, ანუ მეცნიერებაში მოღვაწეობენ და აგრეთვე ისინიც, რომელნიც ასე თუ ისე საზოგადო საქმეს ემსახურებიან. კლუბის წეს-რიგი და მოწყობილება გადმოღებულია ამავე მიმართულების ამერიკის კლუბებიდგან. საქმის დამწყებთ სრული იმედი აქვთ, რომ ეს კლუბი შეაერთებს და თავს მოუყრის ყველა იმ წვრილ-წვრილად დაყოფილ სხვა-და-სხვა დასებს ქალებისას, რომელნიც ამ ჟამად გერმანეთში ყველგან გაფანტულები არიან.

ნეტავ იმისთანა ღვთისნიერი გამოჩნდებოდეს ჩვენში და გაიცნობდეს ახლო ხსენებულ კლუბის წეს-რიგს და გაუზიარებდეს ჩვენს ქალებს, რომელთაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ უკანასკნელ ხანებში დაეტყოთ მეცადინეობის სურვილი და შრომის ხალისი საზოგადო საქმეებისადმი.

---

## კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრება.

20-ს დეკემბერს კრება გაახსნა უგანათლებულესის თავადის პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის თავმჯდომარეობით; ტფილისის საბაღოსნო სკოლის სამზრუნველო საბჭო სთხოვდა საზოგადოებას, სესხად მიეცა მისთვის ექვსასი მან., რადგან ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვით მიცემული ფული არ ეყო და შემოსავალი, თუმცა ორას თუმნამდე იყო ნავარაუდევი, მაგრამ ათას ორასი მანათის მეტი არ შემოუვიდა და ფული დააკლდა. კრებამ გადასწყვიტა, მიეცეს საბაღოსნო სკოლის მზრუნველ საბჭოს ექვსასი მანათი სესხად.

შემდეგ კრება შეუდგა იმ მოსაზრებათა გამორკვევას, თუ მომავალ წლებში როგორ გამოსცეს თავის სამეურნეო გაზეთი. ამ საგანზედ ბევრგვარი აზრი წარმოსთქვეს წევრთ და რამდენიმე იმ აზრისა იყო, რომ სამუდამოდ მოესპოთ გამოცემა გაზეთისა და ის ოთხასამდე თუმანი, რომელიც გაზეთის გამოცემაზედ ეხარჯება ან სამეურნეო პირველ-დაწყებით სკოლას მოახმარონ ან არა სამეურნეო ბროშიურები გამოსცეთო, ჯეროვნად შემუშავებული და გასაგები ხალხისათვისაო.

უმრავლესობა კი იმ აზრის ადგა, რომ პერიოდული გამოცემა აუცილებელი საჭიროებაა საზოგადოებაში სამეურნეო ცოდნათა ადვილ გასავრცელებლად და მოსპობა გაზეთისა შეუძლებელიაო, მხოლოდ საჭიროა ის სტატიები, რომელიც სასურველია რომ მეტად გავრცელდეს, ადგილობრივ ენებზედაც აღიბეჭდოს ხოლმეო.

ოთხი საათის თათბირის შემდეგ კრებამ თორმეტის ხმის უმეტესობით რვის წინააღმდეგ დაადგინა: ამოირჩეს ხუთი წევრთაგანი სარედაქციო კომისიისათვის და ამ კომისიას მიენდოს რედაქტორის მოწვევაც; დაენიშნოს ამ გამოცემისათვის მხოლოდ ორი ათას ექვსასი მანათი და რედაქციის შემოსავალიც მისივე საკუთრება იყოს. აგრეთვე მიეცეს შემწეობა ათას ხუთას მანათამდე სამინისტროდგან გაზეთის გამოცემისათვის, რისთვისაც საზოგადოება იშუამდგომლებს.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიჯ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია